ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2025 წლის 28 მაისი

დაბა ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ[2]“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 6[1] მუხლის მე-7 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხა, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავა**

დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხა, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა

1. დაბა ბახმარო, რეისი ბახმარო – ქ. თბილისი, გასვლა დაბა ბახმაროს ცენტრიდან.
2. დაბა ბახმარო, რეისი ბახმარო – ქ. ბათუმი, გასვლა დაბა ბახმაროს ცენტრიდან.

3. დაბა ბახმარო, რეისი ბახმარო – ქ. ქუთაისი, გასვლა დაბა ბახმაროს ცენტრიდან; კურორტი ბახმარო (სეზონურად), გასვლა დაბა ბახმაროს ცენტრიდან.

4. დაბა ბახმარო, რეისი ბახმარო – ქ. ოზურგეთი, გასვლა დაბა ბახმაროს ცენტრიდან.

5. დაბა ბახმარო, რეისი ბახმარო – ქ. ლანჩხუთი, გასვლა დაბა ბახმაროს ცენტრიდან.

6. სოფელი საჭამიასერი, რეისი საჭამიასერი – ქ. თბილისი, გასვლა სოფლის ცენტრიდან.